ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1–180

№5 (10) მაისი, 2003 წელი ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარებების მისამართ დაგეგმილი სტუმრობა

მთავრობის დელეგაცია ლეჩხუმში

16 მაისს ცაგერის სტადიონზე მთავრობის დელეგაციის ვეტერანი დაეშვა. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ სახელმწიფო მინისტრი ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ამირან გამყრელიძე, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძე, კანცელარიის რეგიონალური მართვის სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭოიძე, საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე კახა კვიციანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ამჟამად სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ძლიერ პოლიტიკური ფიგურა ირინა სარიშვილი, „პირველი არხისა და ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტები, დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ახლადდანიშნული გუბერნატორი ბატონი დავით დარახვალიძე, რომელსაც გულითადად გვინდა მივულოცოთ ეს ახალი საპასუხისმგებლო პოსტი და ჩვენი გაზეთი მასთან ვრცელი ინტერვიუს უფლებასაც ვიტოვებთ.

სახელმწიფო მინისტრი ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე

––ბატონო ავთანდილ! რაიონის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თქვენ ვერ შეგხვდათ. უპრიანი იქნება მოგვითხროთ თქვენი სტუმრობის ძირთიად მიზანზე და კიდევ ერთი––რატომღაც ასე ჩამოყალიბდით: ყველა რაღაცას ელის თქვენგან. რას გეპირდებით?

—ყველაზე მთავარი მიზეზი ჩვენი სტუმრობისა გახლავთ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში ახალი რწმუნებულის წარდგენა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. მერწმუნეთ ბევრი რამ საგრძნობლად გააქტიურდება პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით, მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ცხენისწყალი, რომელიც ყველაზე დიდი პრობლემაა დღეს ლეჩხუმისათვის. აი, რაც სოფელ ღასურიაშში მოხდა, ბუნებრივია შეიძლება კვლავ განმეორდეს. ამას ყველაფერს სერიოზული გააზრება, სერიოზული კაპიტალდაბანდებები სჭირდება. სახელმწიფომ დროულად უნდა დაიწყოს ამაზე ფიქრი, მესამე—უნიკალური ვაზის ჯიშების გადარჩენა. ლეჩხუმში ლეჩხუმელები ვერ იქნებიან თუ შესაბამისი უნიკალური ვაზის ჯიშები არ იქნება, ამიტომ ამაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. ხალხი დაკარგავს თავის ყველაზე განსხვავებულ თვისებას. იცით, ადამიანები და ვაზი ერთობლიობაში ლეჩხუმს წარმოადგენენ. მითხრეს, რომ სამი ჰექტარი უკვე განაშენიანდა. საქმე დაიწყო. ეს დიდი ბედნიერებაა. ახლა მთავარია ბაზარი ვიპოვოთ, სპეციალური მხარდამჭერი ღონისძიებები შევიმუშაოთ, რომლებიც ვაზის გადარჩენისა და მისი გასაღების ბაზარს შეეხება. მოვიფიქრებთ, სპეციალურ პროგრამასაც შევიმუშავებთ. მართალია პატარა ძვრები არის, მაგრამ ამას უფრო სერიოზული ნაბიჯები დასჭირდება.

გარდა ამისა, გაგრძელდება რაიონული საავადყოფოს რეაბილიტაციის პროცესები. (იგულისხმება ძველი შენობა). სოციალური პრობლემების, პენსიებისა და ბევრი სხვა საკითხების მოგვარების ღონისძიებები. ცალკე დადგება წყალსაცავის სათავე ნაგებობის აღდგენა-შერემონტების პრობლემა. უნდა ვიფიქროთ როგორ გვინდა გაკეთდეს, რომ ლეჩხუმში ადამიანები დამაგრდნენ, ოჯახებს ეცხოვრებოდეთ. ყველაზე დიდი ღირებულება საქართველოში მისი მთის რეგიონია, რადგან აქ ურთიერთობები, ზნეობა, ეთიკა ყველაფერი ის, რაც დღევანდელ საქართველოში დეფიციტია მთაში, თქვენთანაა შენარჩუნებული. ერთერთი ყველაზე დიდი პრობლემაა მაქსიმალური ხელისწყობა ჰქონდეს ყველა იმ ოჯახს, რომელიც მთაში ცხოვრობს და ამ მშვენიერ მხარეს წარმოადგენს.

ძირეული საკითხია წინასაარჩევნო მზადებაც. აი, აქედან ჩვენ ამბროლაურში გავემგზარებით, იქ მოქალაქეთა კავშირის კონფერენციაში მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენი მიზანია ისეთი განახლებული პარტია ჩამოვაყლიბოთ, სადაც ზნეობა, მორალი, ურთიერთპატივისცემა, სიმართლე და სამართლიანობა იქნება უმთავრესი საქმიანობის მიზანი. ყველაფერი ეს კი ქვეყნის წინსვლისა და მომავლისათვის, ეკონომიური განვითარებისთვის და ტერიტორიული მთლიანობისთვისაა საჭირო და აუცილებელი.

––ბატონო სახელმწიფო მინისტრო! გვერწმუნეთ, ჩვენი მოსახლეობისათვის ისიც კი ღირებულია ვიღაცას რომ ახსოვს, თუნდაც ვიღაც მონდომების დონეზეც კი ზრუნავს მათთვის...

—ეს მარტო მეხსიერების დონეზე არ არის. მთასთან ყოველთვის სასიამოვნო ასოციაციები მაქვს. ჯერ ერთი ეს არის ყველაზე დიდი ვალდებულება საქართველოს ხელისუფლებისა. მთისა და მთიანეთის გარეშე საქართველო არ და ვერ იარსებებს. ლეჩხუმი კი განსაკუთრებული კუთხეა. ჯანსაღი ძალა, ნიჭიერება. ქართულ პოეზიაში, პროზაში, ხელოვნებაში, ხელისუფლების წრეებში ძალიან ბევრ ლეჩხუმური წარმოშობის პიროვნებებს ვიცნობ. ამ მიწაზე განსაკუთრებული და ღამაზი ადამიანები ცხოვრობენ. ასე, რომ წარმატეტებს გისურვებთ!

––გმადლობთ. თქვენც წარმატებებს გისურვებთ ბატონო ავთანდილ.., განსაკუთრებით არჩევნებში!

ჯანმრთელობისა და სოციალურ უზრუნველყოფის მინისტრი ბატონი ამირან გამყრელიძე

––ბატონო ამირან! თქვენი ძირითადი მიზანი ლეჩხუმში სტუმრობისა...

გაგრძელება მე-2 გვ.

26 მაისს დღესასწაული ქართული სულის

მინდა სიმღერით ვიღაღადო განცდა ახალი,
მაღალ მწვერვალებს შევაგებო სიტყვა მაღალი
და თუ მდუმარებს დღეს მთის გულში ჟამთა მწერალი,
ვერ გასწორდება განა წელში ლაღი მწვერვალი?
ორათასწლოვან მხარეს შეკრავს მეხთა ქუხილი,
რათა დათრგუნოს საქართველოს ყველა წუხილი.

კონსტანტინე ბალმონტი

26 მაისს ლეჩხუმმა, ისე როგორც სრულიად საქართველომ დამოუკიდებლობის დღე იზეიმა.

დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად ჩვენს სამშობლოს დიდი დრო დასჭირდა და ამ ხნის მანძილზე სიძნელეების მიუხედავად თვითმყოფადობა შეინარჩუნა.

26 მაისს წინ უძღვის სისხლიანი 9 აპრილი და მრავალი მტკივნეული დღე, რომელთა მონაპოვრადაც შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებლობა.

ლეჩხუმში ეს დღე ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების (თამილა ჭაბუკიანი, ნუგეშა კოპალიანი) ეგიდით აღინიშნა, პარკში, ლადო ასათიანის ძეგლთან და მის შემოგარენში მშვენიერი ზეიმი მოეწყო, რომელშიც თითქმის ყველა სკოლა, №1 და №2 საბავშვო ბაღები იღებდნენ მონაწილეობას.

ინტელექტუალური, შემოქმედებითი თუ სპორტული პაექრობები გულშემატკივრებს უფრო და უფრო იზიდავდა.

ზურაბ ხეცურიანი (რაიონის გამგებელი): 26 მაისი—დამოუკიდებლობის დღე, ის ფესვია, სადაც ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი უნდა ვეძებოთ. კარგია, რომ შევძელით მისი აღნიშვნა. დღეს ახალგაზრდობის დღეს აღინიშნა ჩვენში, რაიონი გამოცოცხლდა, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა ერთმანეთი გაიცნეს, გაუზიარეს თავინათი ცოდნა და კეთილი სურვილები.

ძნელი და მტკივნეულია ყოველთვის პრობლემებზე საუბარი, ბედნიერებაა რომ ახალგაზრდებმა ცოტა ხნით გაიხარეს და აჟაურობაც გამოაცოცხლეს."

თამილა ჭაბუკიანი (ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების გამგე): „ეს ღონისძიება გახლავთ სტუდენტური დღეების შემადგენელი ნაწილი, რომელსაც ვუძღვნით 26 მაისს, დღეს, რომლიც გამორჩეულია ქართველი კაცის ცნობიერებაში. უკვე ტრადიციულად შემორჩა მას სახელად გაზაფხულის დღესასწაული. ამ სახალხო ზეიმში ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება თუ არა, თვალის დევნება მაინც. თუ ვინმე ვასიამოვნეთ, ჩვენც ამის ვგრძნობთ კმაყოფილებას.

აქვე მინდა ყველა მონაწილეს მადლობა გადავუხადო, განსაკუთრებით სპორტკომიტეტის თავმდომარეს ბატონ გოგი კვირიკაშვილს და მთელს სპორტ-სკოლას."

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს და შეგახსენებთ თქვენც და საკუთარ თავსაც, რომ ამ დიდ მონაპოვარს მოფრთხილება და ფაქიზი მოპყრობა სჭირდება, რათა კვლავ არ დავდგეთ თვითმყოფადობის, ენის, მამულის, სარწმუნოების დაკარგვის წინაშე.

თამარ დავითულიანი

ცაგერის რაიონის გამგებლის ბრძანება №2

27 მაისი 2002 წელი **ქ. ცაგერი**

მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სასახურში გაწვევის შესახებ

№1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის №230 ბრძანებულების საფუძველზე 2003 წლის 27 მაისიდან 27 აგვისტომდე ცაგერის რაიონის ტერიტორიაზე ჩატარდეს მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაწვევა.

№2

ცაგერის რაიონის გამწვევ უბანზე გამოცხადებას ექვემდებარება 1985 წელს დაბადებული ყველა მოქალაქე, ვისაც სრულდება 18 წელი. აგრეთვე ის მოქალაქეებიც რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყვნენ გაწვეულნი.

№3

ყველა მოქალაქე, რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მისამართზე ცაგერი გოლეთიანის ქ. №1. ზუსტად დანიშნულ რიცხვში და დროში, რომელიც ნაჩვენებია პერსონალურ უწყებაში. მოქალაქეები, რომლებმაც ვერ მიიღეს უწყება ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ 2003 წლის 15 ივნისამდე. ხელზე უნდა ქონიონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

№4

ყველა მოქალაქე, რომლებიც ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას და იმყოფებიან ცაგერის რაიონის ტერიტორიაზე დროებით, დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და გამოცხადნენ რაიონის სამხედრო განყოფილებაში, სადაც იმყოფებიან აღრიცხვაზე.

№5

ის მოქალაქეები, რომლებიც თავს არიდებენ გამწვევ უბნებზე გამოცხადებას პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

№6

წარმოება დაწესებულებების და სასწავლებლების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან გამწვევი კომისიის გასავლელად გაანთავისუფლონ წვევამდელები და გამოიძახონ მივლინებიდან, აგრეთვე უზრუნველყონ მათი გამოცხადება.

ზ. ხეცურიანი

ცაგერის რაიონის გამგებელი

„ამბროლაურის მოამბე" 70 წლისაა

მკითხველ კოლეგებო!

სულითა და გულით მოგილოცავთ გაზეთის დაარსებიდან 70 წლის იუბილეს. ადამიანთა ინტერესების ჭეშმარიტად ერთგული „ამბროლაურის მოამბე" ქმნიდა და ქმნის ერთი ულამაზესი ქართული კუთხის, რაჭის ისტორიას, პატივს მიაგებს მის წარსულს, დგას საზოგადოებრივი მოვლენების ცენტრში და მართალი სიტყვით განაწყობს მკითხველს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

გვიგულვეთ თქვენს გვერდით ამ დიდ სიხარულში. ერთხელ კიდევ გილოცავთ, გლოცავთ, კვლავაც ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ თქვენს საპატიო და კეთილშობილურ საქმეში.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქციის კოლექტივი

დახმარებების მისიით დაგეგმილი სტუმრობა

(დასასრული)

—საქართველოს მთავრობის დელეგაციის ძირითადი მიზანი გახლავთ მაღალმთიანი რაიონების განვითარების პრიორიტეტები. ვისაუბრებთ იმ საკითხებზე, რაც განსაკუთრებით სტრატეგიულია ამ რეგიონისათვის. მხედველობაში მაქვს როგორც ეკონომიკური, ისე მოსახლეობის სოციალური საკითხების წინ წამოწევა. ჩემი სპეციალობაც ჯანმრთელობა და სოციალური სფერო, ხალხის სოციალურ უზრუნველყოფა გახლავთ. არის პრობლემები და ამის ირგვლივ გვექნება საუბარი. რამდენიმე პროექტიც არსებობს. დიდი გარდატეხა იქნება დაგვიანებულ პენსიებზე იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ ის. ეს წლევანდელ ბიუჯეტის კანონშიც აისახა, რამიდაც დიდი წვლილი მიუძღვის მაჟორიტარ დეპუტატებს.

გარდა ამისა მ/წელს ალპანის სამედიცინო ამბულატორიის გარემონტებას შევუდგებით. მომავალ წელს არსებობს რაიონული საავადმყოფოს რეაბილიტაციის პერსპექტივაც.

—გმადლობთ.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბატონი დავით კირვალიძე

—ბატონო დავით! გმადლობთ რომ დრო გამონახეთ და ჩამობრძანდით. როგორც გაზეთ „ქრონიკაში“ თქვენს ინტერვიუში ღიმილით იხსენებდით, თურმე პირველ ჩამობრძანებაზე „თინეიჯერული“ ჩაცმულობის გამო ვერ გიცნეს. იმედია ახლა ნამდვილად შეგიცნეს და თქვენგან რიგ კონკრეტულ დახმარებასაც ელიან... (ბატონი დავითი გულიანად ხარხარებს).

—რაც შეეხება ჩემს ამოცნობას ვეტყვით, რომ ამ ჩამოსვლაზე სპეციალურად აღარ დავიხურე კეპი და აღარ ჩავიცვი ჯინსები (ეს ლირიული გადახვევისათვის).

ახლა საქმეზე—რაც ახლა ლასურიაშში ყველამ ერთად ვნახეთ, იქ რა სამუშაოებიც ტარდება, ამას ჩვენი სამსახურები აკეთებენ. სამი დღეა რაც 20 ათასი ლარი ჩამოვრიცხეთ. ამაში ფინანსთა სამინისტრო დაგვეხმარა. მთავარია, მუშაობა დაიწყო.

წელს, 2 მაისს მე მარგო ჩამოვედი სოფელ ოყურეშში, სადაც არის „უსახელოურის“ სანერგე მეურნეობა და რომელიც დააფინანსა მსოფლიო ბანკმა. სხვათა შორის, მე სრულიად გაუფრთხილებლად და კონსპირაციული წესით ჩამოვედი ამ სოფელში. ეს არის საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ფერმერული მეურნეობა. უპირველესად საჭიროა ახალი სამეურნეო მიღწევების დანერგვა, რომ „უსახელოური“ ნაცვლად 7 წლისა, 3-4 წლის შემდეგ შევიდეს მსხმოიარეობაში, მებაღეობა-მევენახეობისა და მეხილეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიებით ვსარგებლობთ, ინერგება ფერმერულ მეურნეობაში და ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ. ეს დავიწყეთ.

ამას გარდა, ჩვენი ბიუჯეტიდან, ჯერ კიდევ გასულ წლებში ჩაგარდა ტენდერი. გამოვავლინეთ გამარჯვებულები. ესენი არიან შ.პ.ს. „ორბელი“ და ტვიშიდან შ.პ.ს. „ნიკორწმინდა“. რაჭა-ლეჩხუმში სულ 6 ტენდერში გამარჯვებულია, მაგრამ მათ თანხები ვერ მიიღეს ფინანსთა სამინისტროდან. ჩვენ, ჩვენი მხრიდან მათ ყოველთვის ვახსენებთ, რომ ეს ხალხი ელოდება თანხებს, რათა უნიკალური ჯიშის ვაზის სამუშაოები საქართველოში მყარად იდგეს ფეხზე და შემედგ ამ ნერგებით ვენახები გაშენდეს.

—ბატონო დავით! იმედი მაინც თუ არის, რომ ამ თანხებს ოდესმე მივიღებთ?

—იმედი როგორ არ არის. უიმედობა ნამდვილად არ გვჩვევია, მაგრამ მოგეხსენებათ მევენახეობა სეზონული დარგია. დაფინანსება ხომ სეზონურადვე უნდა მივიდეს გლეხთან, წინაადმეგ შემთხვევაში კიდევ ერთ წელს დავკარგავთ ფუჭად. ეს კი დასანანია.

კიდევ ერთი—ჩვენ ლასურიაში უკვე შემოვზიდეთ 7 ტონა პურის ფქვილი. ზეთი, შაქარი, კარგოფილის ფანტელი, რომელიც იმედი მაქვს კარგა ხანია დაურიგდა მოსახლეობას.

—გმადლობთ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ქალბატონი ირინა სარიშვილი

—ქალბატონო ირინა! თქვენ ლეჩხუმში უკვე ბრძანდებოდით. ახლა სულ სხვა ამპლუაში გიხილეთ. რას ითვალისწინებს თქვენი ჩამოსვლა ამჯერად?

—ახლა ჩემი ძირითადი მიზანი იმას ემსახურება, რომ შევუერთდეთ იმ სამთავრობო პროგრამას, რომელიც მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას ემსახურება. ამას სახელმწიფო მინისტრი ხელმძღვანელობს. მე ვიფიქრე—კარგი იქნებოდა თუ მეც წამოვიდოდი.

—გმადლობთ.

***

ამის შემდეგ ჩვენი სტუმრები გუბერნიის ცენტრში—ამბროლაურში გაემგზავრნენ, სადაც დაპირებისამებრ მოქალაქეთა კავშირის სამხარეო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. კონფერეციის მონაწილეებს წარუდგინეს ახალი გუბერნატორი. ამით სამთავრობო დელეგაციამ ჩვენს გუბერნიაში მუშაობა დაასრულა.

P.S. ჩვენი საფეხბურთო გუნდის „ხვამლის“ წევრ ჭაბუკებს ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ სტადიონზე, სტუმრების გაცილებისას ბატონ სახელმწიფო მინისტრთან ბურთით „კენწლაობა“ და მისი თბილი, ღიმილიანი გამომშვიდობება.

***

სამთავრობო დელეგაციის სტუმრობა ნამდვილად დადებით ასოციაციებს იწვევს თითოეულ ლეჩხუმში, მაგრამ უფრო დიდია სურვილი, იმისა, იქნებ რეალურად გაკეთდეს საქმე... სწორედ ამ საკითხებზის გასარკვევად მოვედით ინტერვიუზე ბატონ ზურაბ ხეცურიანთან, რაიონის გამგებელთან.

—ბატონო ზურაბ! სამთავრობო დელეგაცია უკვე ოთხი დღეა რაც წავიდა. რას ველოდებით, თუ რამე შედეგს მოიგანს ჩვენი რაიონისთვის და ჩვენი რეგიონისათვის მათი ვიზიტი?

—ვინაც რაიონის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაში ერკვევა, დამერწმუნება იმაში, რომ ფაქტიურად ცენტრალური ხელისუფლების დახმარების გარეშე მას ფუნქციონიროება გაუჭირდება, ამიგომ ყველა მნიშვნელოვანი ფიგურის, ხელისუფლების წარმომადგენლის სტუმრობა ცაგერის რაიონში უნდა ემსახურებოდეს და ემსახურება ერთ მიზანს—როგორმე ცენტრალური ხელისუფლებაში სწორად დაისვას ეს პრობლემები და დაისახოს მათი გადაწყვეტის გზები. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მომენტების შეფასებას ემსახურებოდა ბატონი სახელმწიფო მინისტრის ჩამობრძანება ცაგერის რაიონში და მისი პირველივე სიტყვები იყო ის, რომ შემიძლია ახლა უკვე ცაგერის რაიონში ჩამოსვლა და თქვენთან ერთად იმ პრობლემების გადახედვა, რომელიც დგას. ამისათვის მინდა მისდამი მადლობა გამოვხატო და ყველა იმ პიროვნებაზე, რომელიც ლეჩხუმისათვის თავის წონად სიტყვას ამბობს ხელისუფლებაში.

რას ველით სახელმწიფო მინისტრის ჩამობრძანებისგან? მინდა მოგახსენოთ იმის შესახებ, რომ მისი ვიზიტით ცაგერის რაიონში ის კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, თუ რა მდგომარეობაა, რა სტიქიურ მოვლენებია მოსალოდნელი და თუ მისი გადაწყვეტა არა, რეგულაციის სამუშაოები რომ თავის დროზე არ განხორციელდეს ჩვენ ხვალ და ზეგ უარესი სიტუაცია შეგვექმნება. ამისათვის მზადყოფნა გამოთქვა სახელმწიფო მინისტრმა, იქვე დაავალა გარკვეულ სახელისუფლებო სტრუქტერებს, რომელთა გარკვეული ნაწილი მას ახლდა. ამასთანავე სულ მალე გამოვა სახელმწიფო მინისტრის სპეციალური ბრძანება იმ პრობლემების გადაწყვეტის შესახებ, რომელიც დაისვა ამ ვიზიტის შემდეგ. კარგად მესმის რა რესპუბლიკის ეკონომიკურ და საბიუჯეტო სისტემაში შექმნილი მდგომარეობა, მიმაჩნია, რომ ამ სტადიაზე ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ გარკვეულად მივიღოთ ის თანხები, რაც ჩაგეგმილი არის სახელმწიფო ბიუჯეტში, ამასთანავე სხვადასხვა სამინისტროებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასაცემი თანხებიდან გარკვეული ინვესტიციები მიზიდული იქნას რაიონში, ეს განსაკუთრებით, შეხება ნაპირსამაგრ სამუშაოებს, ტელევიზიის, ელექტროენერგიის, კავშირგაბმულობის სისტემების გაუმჯობესებას. ეს ყველაფერი აისახება სახელმწიფო მინისტრის ბრძანებულებაში. მომავალი წლიდან მე ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი თანხები იქნება გადარიცხული და (ამას შეგვპირდა სახელმწიფო მინისტრი) მდინარე ცხენისწყალის და ლაჯანურის რეგულაციის სამუშაოებსათვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვისათვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ის, რომ ფაქტიურად სხვადასხვა საინვესტიციო სააგენტოების საშუალების უნდა მოხდეს აღდგენა რაიონული საავადმყოფოს, ლაჯანის საავადმყოფოს, ცენტრალური ტელე-სადგურისა. მაგრამ აუცილებელია ეს ყველაფერი ასახული იქნას ბიუჯეტში, ეს საკმაოდ დიდია და წლევანდელ ბიუჯეტი ამას ვერ აიტანს, თუნდაც იმიგომ, რომ პრეზიდენტის ფონდი სულ მოიცავს 3 მილიონ ლარს, აქედან 280 ათასი ლარი ჩვენ უკვე მივიღეთ ლასურიაშში მეწყერის ლიკვიდაციის სამუშაოებზე, 100.000 ლარი მივიღეთ უკვე ჩაბარებული ყურძნის კონპენსირებისათვის და ამასთანავე ის მძიმე ტექნიკა „კამაცი“, რომელიც მოსალოდნელია უახლოეს პერიოდში მივიღოთ, დაახლოებით 200 ათას ლარამდე ჯდება თავისი შენახვის ხარჯებიანად. უბრალო, ელემენტარული გათვლაც კი ნათლად დაგვანახებს იმას, რომ თუ 3 მილიარდიდან 700 ათასი მარგო ჩვენს რაიონზე დაიხარჯა, რესპუბლიკაში სხვა რაიონებიც ხომ არსებობს. თუმც არის ერთი გამოსავალიც—არასაბიუჯეტო ფონდები, თანადაფინანსების ფონდები.

მე მადლობელი ვარ სახელმწიფო მინისტრისა თუნდაც იმაზე, რომ ბევრი პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტა იქვე ხდებოდა. პირდაპირ აძლევდა იგი დავალებას მინისტრებს, ამიგომ ფაქტიურად უახლოეს მომავალში ველოდებით ბევრ სიკეთეს.

თქვენ უშუალოდ უყურებდით და კარგად იცით რომ იმავე საღამოს მოხდა წყალდიდობა სოფელ ლაჯანაში და 10 ოჯახი გამოვიყვანეთ 2-3 ღღით საცხოვრებელი სახლებიდან. მიღებულია ღონისძიებები მათი მატერიალური კომპენსირების შესახებ.

—ბატონო ზურაბ! იმ ღღესვე ამბროლაურში ჩაგარდა არანკალები მნიშვნელოვანი ღონისძიება—მოქალაქეთა კავშირის სამხარეო კონფერენცია. რა გზები დაისახა რეგიონში იმისათვის, რომ მოქალაქეთა კავშირმა დაიბრუნოს ასე ეთქვათ „ძველი დიდება“.

—ძველი დიდების დაბრუნებაზე ალბათ ზედმეტია ლაპარაკი. უპირველეს ყოვლისა თუკი ეთვლით, რომ მოქალაქეთა კავშირი სახელისუფლებო ბლოკია, უნდა გავწიოთ იმის პროპაგანდა, რასაც ხელისუფლება აკეთებს და იმასაც, რასაც ვერ აკეთებს. ავიღებ ცაგერის მაგალითს—ცენტრალურ ბიუჯეტს ჩვენ ვაძლევთ მხოლოდ 140-150. ათას ლარს, ხოლო იქედან ტრანსფერის სახით ვიღებთ დაახლოება მილიონ 200 ათასი ლარზე მეტს, ამაზე დაფიქრდება ღირს. მაგრამ სულ მცირე 10 წელი დასჭირდება იმას, რომ საბაზრო ეკონომიკა და განსაკუთრებით დემოგრაფიული საკითხები ცაგერში დარეგულირდეს.

მოქალაქეთა კავშირის კონფერენცია, ეს იყო პოლიტიკური ფორუმი, იქ უფრო პარგიულ საქმიანობაზე იყო საუბარი და ფაქტიურად ფორუმი ეხმარება ცენტრალურ ხელისუფლებას მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

მე მწამს ლეჩხუმელთა და ეს კონფერენციაზეც ვთქვი. ახლაც ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ლეჩხუმელები დადგებიან იქ, სადაც სწორი არჩევანი უნდა გაკეთდეს. ეს არ არის ჩემი ან ვინმეს ნება, ეს უპირველესად ლეჩხუმელთა ნების გამოხატვაა. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის არჩევნების დროს ხდებოდა პარგიის გაყოფა და დიდი ქაოსი იყო, ჩვენს სინამდვილეში 12 საკრებულოს წევრი იყო მოქალაქეთა კავშირიდან.

მთავარია ყველამ სწორი არჩევანი გავაკეთოთ.

—გმადლობთ.

მარინა სვანიძე

კიდევ ერთი გამარჯვების მოლი



58-ე გაზაფხული დამდგარა მას შემდეგ, რაც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას ზეიმობს მსოფლიო. 58-ჯერ ხვდებიან მკერდდამშვენებული, გაჭაღარავებული და წლებს შეჭიდებულნი ომის ვეტერანები 9 მაისს—სანუკვარ და დაუვიწყარ დღეს.

წლევანდელ 9 მაისს ისე გამოჩდნენ ქალაქის ქუჩებში რაიონის ომის ვეტერანები დაღლილი მხრებით და მწყობრი, ჯერ კიდევ შემონახული მხედრული ნაბიჯებით.

8 მაისს სარაიონო კულტურის სახლში თბილი საღამო მოეწყო, რომელთა ორგანიზატორები რაიონული გამგეობა და კულტურის სფეროს მუშაკები იყვნენ. მისასალმებელი სიტყვები გამოვიდნენ გამგებლის მოადგილე პიერ ფუტკარაძე, ვეტერანი რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის ვეტერანები შალვა ცვარიანი, ვეტერანი გერონტი თუთისანი, ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე ანნა ჩიქოვანი, და სხვები. გულთბილი შეხვედრები მოეწყო ვეტერანებთან მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ქალაქის საკრებულოსა და რაიონულ სასამართლოში.

ომის ვეტერანებმა და ქალაქის მცხოვრებლებმა ყვავილებით შეამკეს რაიონის ცენტრში ომს შეწირული ვაჟკაცების მემორიალი, სადაც №1 ბაღის პატარებმა კონცერტი გამართეს.

წელთა მატება, მხნეობა და ჯანმრთელობა ნუ მოგკლებოდეთ ჩვენო დაღლილო, ჭარმაგო და სახელოვანი ომის ვეტერანებო, თქვენ დიდხანს, დიდხანს უნდა იცოცხლოთ, რადგან ძალიან უხდებით დღევანდელობას!

მარინა სვანიძე

ბობოქარი სტიქია და... შიშველი ხელები

16 მაისს, მინისტრთა კაბინეტის ბირთვით, საპატიო სტუმრებით, მხარის ადმინისტრაციით, ჟურნალისტებით დატვირთული ვეტმფრენი ლეჩხუმს დაემშვიდობა: იყო დაპირებები შესრულების გარანტით, იყო სითბო, გამოცოცხლება, სტუმარ–მასპინძლობა... „მაგრამ განა ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?!...“ იმ ღამესვე, დაახლოებით 19 საათზე, მდ. ლაჯანური აღიდდა და კვლავ საშიშროების წინაშე აღმოჩნდა სოფელი. დაიტბორა 7 ოჯახი. ცაგერიდან დროულად დაეხმარა დაზარალებულ მოსახლეობას მაშველთა კორპუსი, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდნენ.

დილაადრიან შემთხვევის ადგილზე მობრძანდნენ რაჭა–ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის გუბერნატორი ბატონი დავით დარახველიძე, ცაგერის რაიონის გამგებელი ბატონი ზურაბ ხეცურიანი, ამბროლაურის რაიონის გამგებელი ბატონ იოსებ ჭიღვარია. ცაგერის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი მირიან მეშველიანი.

რამდენიმე კითხვით მივმართეთ გუბერნატორს——ბატონ დავით დარახველიძეს და რაიონის გამგებელს ბატონ ზურაბ ხეცურიანს.

ბატონო დავით, გულწრფელად გილოცავთ გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნას. თქვენი პირველი სამუშაო დღე ნეგატიური საკმაოდ სერიოზული შემაშფოთებელი მომენტით დაიწყო...

——ბატონმა ზურაბმა მაშინვე შეატყობინა ამ რთული მდგომარეობის შესახებ. წყლის აღიდების შედეგად ნაპირი დაარღვია მდ. ლაჯანურმა, შვიდი მოსახლე დატბორილია, წყალი სახლშია შესული. ერთ–ერთ სახლში საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფი წევს... მდგომარეობა ურთულესია. საფრთხეა ნაპირის ფართო მასშტაბით გარღვევისა, რის შედეგადაც ოცი ოჯახი მოექცევა საფრთხის ქვეშ. გამოსავალი ორია: პირველი არის ის, რომ ბულდოზერებით კალაპოტი უნდა შევუცვალოთ მდინარეს. დაახლოებით ერთ საათში დაიწყება მუშაობა. ამასთან ერთად დავუკავშირდით პრეზიდენტის სამსახურს, საქმეში ჩაერთო ენერგეტიკის მინისტრი ბატონი დავით მირცხულავა, რომელმაც მისცა მითითება სადისპეჩერო სამსახურს აუცილებლობის შემთხვევაში გახსნან ფარები ლაჯანურის წყალსაცავზე. ეს მეორე მომენტი საკმაო ზარალი იქნება სახელმწიფოსთვის იმიტომ, რომ უნდა გაჩერდეს, შეწყვიტოს მუშაობა „ლაჯანურჰესმა“, „ვარციხეჰესმა“. ეს ძალზედ რთული და მძიმე პროცესია, მაგრამ მოსახლეობის გადარჩენის მიზნით ამ მიმართულებითაც წავალთ. თუმც ჯერ ვცდილობთ პირველი მიმართულებით ვიმოქმედოთ. ჩემთან ერთად იმყოფება ამბროლაურის გამგებელი ბატონი იოსებ ჭიღვარია და თუ ცაგერის რესურსები საკმარისი არ აღმოჩნდება, ამბროლაური დაგვეხმარება ტექნიკით, საწვავით და ა.შ. მოსახლეობას უყურადღებოდ არ დავტოვებთ.



——ასეთი შემთხვევა ამ ადგილისათვის პირველი არ არის. გუშინ მხარეში სახელმწიფო მინისტრი იმყოფებოდა. თუ დაისვა ეს საკითხი.

——ეს საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. მართალია, გუშინ გუბერნატორად დამნიშნეს, მაგრამ მანამდე გუბერნატორის პირველი მოადგილე ვიყავი, საკითხი შესწავლილია. კომუნისტების დროს ათეულ მილიონობით მანეთი იხარჯებოდა ცხენისწყლის, ლაჯანურის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებაზე. ახლა სამწუხაროდ, არ არის ხარჯების საშუალებ, ვართ მძიმე მდგომარეობაში. გუშინ როცა ცხენისწყლის ხეობას ვაკვირდებოდი, ის ზონაც საფრთხის ქვეშაა, წყალმა ნაპირსამაგრი კონსტრუქციები წაიღო. მუშაობს ორი ბულდოზერი, რომელიც ინარჩუნებს იმ გზას. პრობლემები ბევრია. უმძიმესი მდგომარეობაა სათავე ნაგებობაზეც. ფაქტობრივად, შიშველი ხელებით ვებრძვით სტიქიას. ცენტრალურ ხელისუფლებას სერიოზული თანხების გამოყოფას ვერ ახერხებს. ჯერჯერობით საუბარია დიდი შეაძლებლობების მქონე ბულდოზერზე, რომელიც პრეზიდენტის ფონდიდან უნდა იქნეს შესყიდული ცაგერისათვის. ამაზე გუშინ სახელმწიფო მინისტრმაც ისაუბრა, საკითხი მალე გადაწყდება;

ცაგერის რაიონის გამგებელი ზურაბ ხეცურიანი:

——პირველი დახმარება იქნება ის, რომ ადგილობრივი ძალებით ტექნიკას ავამუშავებთ, გავაკეთებთ მიწაყრილს, დავწრიტავთ, მივცემთ შესაბამის მიმართულებას წყალს. მომავალში აუცილებელია ვიზრუნოთ საინჟინრო–ტექნიკური გადაწყვეტა მოვუძებნოთ ამ საქმეს. თუმცა ურთულესი პროცესია, რადგან მდინარის ხეობა მაღალზეა, ვიდრე მოსახლეობა და ყოველთვის მოსალოდნელია სტიქიური უბედურება. ყველაფერი ეს მაინც შექმნილია „ლაჯანურჰესის“ არასწორი ექსპლუატაციით თუ სხვა მომენტებით.

ცენტრალურ რეგიონალურ მართვის სამსახურს ეცნობა აღნიშნული საკითხის შესახებ. საკითხი დაძრულია წინ, შემდეგ კი მომზადება, დაყენება, სჭირდება. მაგრამ მე მაინც მგონია, ამ მდინარის რეგულაციას ისე ვერ მოვახდენთ, რომ 15–20 კომლი შევინარჩუნოთ პერსპექტივაში. შეიძლება ლოკალურად გადავწყვიტოთ წელს, მომავალ წელს, მაგრამ საბოლოო შენარჩუნებაში ეჭვი მეპარება.

მდ. ლაჯანური მეორე დღეს აუღელვებლად, თავისივე კალაპოტში მოედინებოდა. მადლობა უფალს... მაგრამ ასეთი დაწყნარება მომენტალურია. კვლავ არსებობს საშიშროება მდინარის ადიდების და უდიდესი საფრთხისა. მაშინ კი ადგილობრივი ძალებით და შიშველი ხელებით ვერაფერს გავსდებით.

P.S. ***რედაქციის სახელით გვინდა დიდი მადლიერება გამოვხატოთ საგზაო პოლიციის უფროსის ბატონ რეზო სალინაძის მიმართ, რომელმაც იზრუნა იმისათვის, რომ ჟურნალისტთა შემთხვევის ადგილზე.***

ეკატერინე ბენდელიანი

ლეჩხუმის წყალდიდობა მარგო არ აკმარა ბუნებამ, 1993 წლის 22 მაისს მოსულმა სეტყვამ დიდი ზიანი მიაყენა შემდეგ სოფლებს: უსახელო, ხოჯი, სანორჩი, ნასპერი, დეხვირი, ღასურიაში, მახაში, აღვი, ისუნდერი, ზუბი.

სტიქიის შესახებ ცნობილია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახელმწიფოს კანცელარიაში.

შემოქმედებისა და ნიჭის ძახილი

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ კეთილი საქმით რაღაც შეატონ თავიანთ ქვეყანას, თავიანთ მშობლიურ კუთხეს. სწორედ, ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთნება ბატონი დავით კოპალიანი, რომელმაც „ქმნა კეთილი“ და მნიშვნელოვანი შტრიხი გაავლო ლეჩხუმის ისტორიაში.

ჩვენი მხარე ვერ დაიკვეხნის მდიდარი, ისტორიული წყაროებით, რაც მოგვეპოვება გაბნეული, ძუნწი ინფორაციის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით, ამ ცოტა ხნის წინ, ბატონმა დავით კოპალიანმა გამოსცა შესანიშნავი წიგნი „ნარკვევები ლეჩხუმის წარსულიდან“.

ბიბლიოთეკის კვირეულისა და წიგნის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა წიგნის პრეზენტაცია, ავტორის თანდასწრებით, რომელიც ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო.

მოწვეულ სტუმართა შორის გახლდათ ქალაქ ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სააქციო საზოგადოება „მანდარიას სტამბის“ დირექტორი ილია მანდარია, ს/ს „მანდარიას სტამბის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა თავბერიძე, ოლეგ ქობულაძე.

ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგემ ქალბატონმა ციცო სადილიანმა საზოგადოებას გააცნო თავშეყრის მიზეზი: „ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კითხვა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ყოველდღიური საქმიანობაა. ადამიანები კითხულობენ ცოდნის შეასაძენად, გასაცნობიერებლად, სხვა მრავალი კულტურულ–ესთეტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ამის უშუალო ცენტრი და ხელშემწყობი ბიბლიოთეკები გახლავთ. მიუხედავად ჩვენთან არსებული მრავალი სირთულეებისა, პროფესიის სიყვარულისა და ენთუზიაზმის ხარჯზე, მაინც ვახერხებთ მუშაობას.

დღეს, ამ დარბაზში, თავი მოვიყარეთ ბიბლიოთეკის მკითხველებმა, რათა ავტორთან ერთად თვალი გადავავლოთ და ავწონ–დავწონოთ ამ წიგნის სრულფასოვნება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს არა აქვს პრეტენზია წიგნის სრულყოფილებაზე“.

სიტყვით გამოვიდა რაიონის გამგებელი ბატონი ზურაბ ხეცურიანი, რომელმაც აღნიშნა: „რაც არ უნდა ვწეროთ, რაც არ უნდა შევასსათ ფრთები ჩვენს ნააზრევს, თუკი ის მკითხველამდე არ იქნება მიტანილი, დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს. ამჯერად, საქმე გვაქვს უნიკალურ გამოცემასთან. ბატონ დავითს 12–ზე მეტი ისტორიული წყარო აქვს დამუშავებული, რომელსაც ქრონოლოგიურად გადმოსცემს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი ყველა ლეჩხუმელი ადამიანის სამაგიდო წიგნი გახდება.“

წიგნის ზოგადი მიმოხილვა გააკეთა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ბატონმა ომარ ჭაბუკიანმა. „ზემოთ ხსენებული წიგნის გამოცემა დროის მოთხოვნებითაც იყო ნაკარნახევი. საკითხები, დავით კოპალიანმა რომ გააშუქა თავის ნარკვევებში დავიწყების ბურუსით იყო მოცული.

ამ გამოცემის შემდეგ მშობლიური კუთხის წარსულით დაინტერესებული მკითხველი უფრო ახლოს გაეცნობა რაიონის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიისა და კულტურის ხელთუქმნელ ძეგლებს, ცნობილ ადამიანებს. ყველაფერ იმას, რითაც სამართლიანად ამაყობს ისტორიული თაკვერი——მთიანი კოლხეთის მარგალიტი.

ელგუჯა თავბერიძე——„მოხარული ვარ, რომ გარკვეულწილად მეც მაქვს მონაწილეობა მიღებული ამ წიგნის გამოცემაში, რადგან წიგნს ვრედაქტორობდი. მართლაც, შეუფასებელი შრომა აქვს ავტორს გაწეული, რომელსაც უფრო და უფრო ჯერეროვნად დააფასებს, ალბათ, მომავალი თაობა. ვფიქრობ, რომ დიდი საქმე გაკეთდა ლეჩხუმის ისტორიაში.“

დასასრულს, ბატონმა დავითმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, საზოგადოებას მობრძანებისათვის. არ დაიშურა გულთბილი სიტყვები ბიბლიოთეკის მესვეურების მიმართ, რომლებმაც ასეთი შეხვედრა მოუწყვეს.

აღსანიშნავია, რომ წიგნის განხილვას თან ახლდა ფაცა საღინაძის, ლამარა ბერიძის, მალვინა მინდაძის, ნატო ფოჩხიძის, ლეილა ნუცუბიძის, ჟენია მანგაძის, ლეილა გურგუჩიანის, მანანა ყურაშვილის, ლილი ირემაძის, ნინო დაშნიანის, მალხაზ სილაგაძის, ირაკლი ბახსოლიანის, გალაქტიონ ლიპარტელიანის ნამუშევართა გამოფენა——დათვალიერება, რომლის ინიციატორები გახლდათ ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები მანანა გოგიძე და ლონდა გუგავა.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმი“ უერთდება სხვათა სურვილებს ბატონ დავითის მიმართ——კვლავაც გაეხარებინოს ლეჩხუმელი მკითხველი ახალ–ახალი, საინტერესო გამოცემებით.

ეკა ყვირილიანი

შედგა ლამაზი დღე

ჩხუტელის საშუალო სკოლაში მისულებს იმდენად თბილი და ლამაზი გარემო შემოგვეგება, რომ წამით მშობლიური სკოლის სურნელი ვიგრძენით. მაისის ამ მზიან დღეს უჩვეულოდ გამოიყურებოდნენ სტუმრებიც და მასპინძლებიც, ზეიმის მომლოდინე მეოთხე კლასელები, სულ თერთმეტნი, საოცრად გალაზებული სცენიდან მღელვარებით ელოდნენ ღონისძიების დაწყებასს და ისიც დაიწყო... დაიწყო და თავშივე მინდა გითხრათ რომ შედგა კიდეც.

ჩხუტელის საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი ქალბატონი მედეა ღოღელიანი) ამ დღეს პირობითად „დედაენასთან“ გამომშვიდობების დღე. უწოდეს სცენარი რვა ნაწილისგან შედგებოდა. პატარები, თითქოს დაბრძენებულები და ზრდადასრულებულები საუბრობდნენ თემებზე–„სკოლა“, „სოფელი, „რა არის კარგი, რა არის ცუდი“, „სამშობლო“, „გამოცანები“, „ანდაზები“, „ოჯახი“, „ზამთარი“ და ბოლო აკორდი „გაზაფხული“. მათ არც მაქსიმე აღმსარებლისა და ჩვენი მაცხოვრის მადლი დავიწყებიათ და არც მერაბ მამარდაშვილის ცნობილი ფრაზა——„თქვენ ვალდებულნი ხართ თქვენს თავში გადაარჩინოთ ქრისტე“.

ამ მშვენიერი საღამოდან ისიც შევიტყვეთ, ომ 1924 წელს ცაგერში დანიშნულია პირველი განთლების განყოფილების გამგე აბაშიძე, 1927–28 წლებში გახსნილია სოფელ ჩხუტელში პირველი სკოლა ორი ჯგუფით ბესარიონ დაშნიანის სახლში რომელიც 1932 წელს შალვა ჩარკვიანის სახლში გადაუნაცვლებიათ. თურმე მშობლები მაშინაც იხდიდნენ სწავლის საფასურს, ოღონდაც „ნატურით“——თითო ბათმან სიმინდს. 1938–39 წლებში პირველი საშუალო სკოლის გახსნა უზეიმიათ, რომლის დირექტორად აკაკი მუშკუდიანი დაუნიშნავთ, 1954 წელს კი იგი სამსონ კოპალიანს შეუცალია, წელს კი ჩხუტელის საშუალო სკოლა თავისი არსებობის 50–ე წლისთავს შეეებებია.

ჩხუტელის საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი ქალბატონი მედეა ღოღელიანი) ამ დღეს პირობითად „დედაენასთან“ გამომშვიდობების დღე. უწოდეს სცენარი რვა ნაწილისგან შედგებოდა. პატარები, თითქოს დაბრძენებულები და ზრდადასრულებულები საუბრობდნენ თემებზე–„სკოლა“, „სოფელი, „რა არის კარგი, რა არის ცუდი“, „სამშობლო“, „გამოცანები“, „ანდაზები“, „ოჯახი“, „ზამთარი“ და ბოლო აკორდი „გაზაფხული“. მათ არც მაქსიმე აღმსარებლისა და ჩვენი მაცხოვრის მადლი დავიწყებიათ და არც მერაბ მამარდაშვილის ცნობილი ფრაზა——„თქვენ ვალდებულნი ხართ თქვენს თავში გადაარჩინოთ ქრისტე“.

ამ მშვენიერი საღამოდან ისიც შევიტყვეთ, ომ 1924 წელს ცაგერში დანიშნულია პირველი განთლების განყოფილების გამგე აბაშიძე, 1927–28 წლებში გახსნილია სოფელ ჩხუტელში პირველი სკოლა

სტუმრებს მიესალმენ და მოსწავლეებს იმდღევანდელი ზეიმი მიულოცეს ჩხუტელის საშუალო სკოლის დირექტორმა ბატონმა ბორის მიქაძემ, სასწავლო ნაწილის გამგემ გულნარა მეშველიანმა, რომელმაც გამოშვების ალბომები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მეოთხე კლასელებს, მშობლებმა ნანა ახვლედიანმა, კლასის დამრიგებელმა მედეა ღოღელიანმა.

ითქვა ბევრი სამადლობელი და მადლიანი სიტყვა——პატარებზე, სკოლის თითოეულ მუშაკზე, მუსიკის პედაგოგზე ირმა ცხვედიანზე და ქორეოგრაფ დოდო გუგავაზე, რომელთა შემოქმედებამაც უდიდესი ესთეტიური სიამოვნება მიაყენა დარბაზში მსხდომ თითოეულ ჩვენგანს.

მადლობა ყველას, ვინაც ეს მშვენიერი დღე მოაწყო.

ეს ლამაზი დღე მერწმუნეთ, ნამდვილად შედგა.

მარინა სვანიძე

უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა

გაიხსნა ხუბის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

დათოვლილი მთები ამაოდ ლამობს ტახტის შენარჩუნებას, ამასობაში კი მშვენიერმა გაზაფხულმა ჩუმად, ფეხაკრეფით სამეუფო ტახტს მიაშურა. ირგვლივ ზურმუხტისფერი აბლაბუდა იხლართება და სითბოს, სიხარულს, ბედნიერებას ჰპირდება ოქროს სხივებით შემკულ ქვეყანას.

მომხიბლავი პანორამა გადაგვეშლება ასხის მთის შემყურეს, მომაჯადოებელი ბუნების ფერისცვალება ერთბაშად ხდება თვალშისაცემი. გული კი უჩვეულოს, ამაღლებულის მოლოდინით ფრთხიალებს. ადამიანები ერთმანეთს სიყვარულით ულოცავენ ულამაზეს დღეს. დღეს, რომელსაც თითქმის საუკუნეა სულმოუთქმელად ელის სოფლის მოსახლეობა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

„სოფელ ზუბის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი––წერს ექვთიმე თაყაიშვილი,––ახალია, ხისა, ხისავე კანკელით, რომელიც აგებულია 1866 წელს, როგორც მოგვითხრობს მისი მხედრული წარწერა“. (ემიგრანტული ნაშრომები, დაბრუნება, ტ. II)

ეკლესია მოქმედი იყო, წირვა-ლოცვას ღვთისმსახურება და შვიდ საიდუმლოს ასრულებდა მღვდელი იოანე (ჩაკვეტაძე), რომლის მზრუნველობითა და ღვთის წყალობით ეკლესიამ იერსახე 1935 წლამდე შეინარჩუნა. ამ უკანასკნელ წელს კი კომუნისტებმა ზუბის არასრული საშუალო სკოლის გაფართოება-კეთილმოწყობის მომიზეზებით ეკლესია დაანგრიეს.

„იმდროინდელ მოწაფეებს (მეორე კლასში გახლდით) დღემდე ვერ მოგვიცილებია შიში და სულის დამძიმება სკოლის „მოამაგეთა“ საქციეს გამო. სულიან ხორციანად შეძრულმა იმთავითვე დავიწყე ოცნება, რაღაც გამეკეთებინა ჩემი და არა მარტო ჩემი სულიერი ტრავმის კომპენსაციისათვის. ეკლესიის აშენების ლამაზი ოცნება ოცნებად რჩებოდა“––იგონებს პროფესორი ვალერიან ბენიძე. ტაძრის აშენების სურვილი, მონდომება იმდენად დიდი იყო, შედეგმა არ დააყოვნა. აქვე გავიხსენოთ უფლის სიტყვები: „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“.

...კვლავ აღდგა და დასრულდა ზუბის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობა. მართალია, გარკვეული პერიოდი ეკლესია „აღიგავა პირისაგან მიწისა“, მაგრამ ამ ადგილს მფარველი ანგელოზი განუშორებლად იცავდა და ელოდებოდა იმ ბრწყინვალე, კურთხეულ დღეს, როცა აღდგენილ ტაძარში წირვა-ლოცვა ისევ შესრულდებოდა. ასხის მთით გარშემორტყმული ტაძარი იკურთხა. ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს, 3 მაისს დიდი ზეიმი იყო ზუბში.. სტუმარ-მასპინძელნი, დიდი თუ პატარა აღფრთოვანებულნი, სიხარულით, მოსიყვარულე თვალებით, წინაპართა ნათელი ხსოვნის წინაშე წელგამართულნი იდგნენ და ერთმანეთს ულოცავდნენ ამ დღეს. აღდგომილ მაცხოვარს ევედრებოდნენ და ლოცავდნენ „ამა ტაძრის აღმაშენებელთ“.

...და დადგა ნანატრი წამი... სამეუფო ზარების რეკვამ ამცნო სტუმარ-მასპინძელთ ეპისკოპოსთა მობრძანება. სიმბოლური იყო თუნდაც ის, რომ საპატიო სტუმრებს სოფლის მკვიდრი, ერთ-ერთი ორგანიზატორი ტაძრის მშენებლობისა, პროფესორი ვალერიან ბენიძე წინაპართ მსგავსად ეროვნული სამოსით ჩოხა-ახალუხით შემოსილი დახვდა. ამ სიმბოლიკის აღნიშვნა იმიტომაც ჩავთვალე მნიშვნელოვნად, რომ ტაძრის ხელახალი აღდგენა ჩვენში მართლმადიდებლურ სულს, მასპინძლის ასეთი მიღების ფორმა კი ეროვნულობას აძლიერებს. დასკვნა კი შემდეგი აქსიომაა: სიტყვები ქართველი და მართლმადიდებელი განუყოფელი ცნებებია, სინონიმებია და ერთმანეთის გარეშე ყოფნა, ცხოვრება და ცხონება შეუძლებელია.

სამთავისისა და გორის ეპისკოპოსის ანდრიას (გვაზავა), ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის სტეფანესა და მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის ილარიონის მიერ აღსრულებული წირვა, მგალობელთა ტკბილხმოვანი გალობა და მორწმუნეთა ლოცვა, ვითარცა სვეტი ზეცისა და ღვთისკენ მაღლდებოდა, „ორმოცი დღის განმავლობაში ჩვენ ვზეიმობთ მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულს და ამ დღეებში ტაძრის კურთხევა განსაკუთრებულ შინაარს იძენს, სხვა სიხარული მოაქვს მას. წმ. გიორგი, რომლის დღესასწაულსაც ჩვენ ვზეიმობთ ორი დღის შემდეგ, საქართველოს განსაკუთრებული მფარველია. ჩვენში ამბობენ, „წმ. გიორგის 366 ტაძრის მადლი შეგეწიოსო“. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. მინდა სოფელ ზუბის მცხოვრებლებს მივულოცო ეს დღესასწაული, დღევანდელი დღე––3 მაისი, ტაძრის კურთხევა. თითოეულისათვის მშობლიური უნდა გახდეს ეს ტაძარი და აქ უნდა მოგქონდეთ თქვენი ჭირი და ვარამი, თქვენი სიხარული“––ამ სიტვყებით დალოცა მეუფე ანდრიამ მოსახლეობა. ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობდა მთელი სოფელი. ორგანიზატორები კი იყვნენ: ვალერიან ბენიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ვენედი ბენიძე. ტაძრის არქიტექტორი ჯონი ჩაკვეტაძე.

როგორც ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ აღნიშნა: „ის ადამიანები, რომლებიც ამ ტაძრის მშენებლობას თაოსნობდნენ, უფლისაგან განშორებული ცხოვრობდნენ. ისე მოხდა, რომ უფალმა ისინი მოაბრუნა მთელი სულითა და გულით. ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შენდობა ეთხოვათ უფლისაგან. ტაძრის მშენებლობა ღვთის სათნო საქმეა და ეს ყველაფერი არ უნდა დამთავრდეს მხოლოდ ქვების დადებით. ტაძრის მშენებლობა თქვენს სულებში უნდა მოხდეს. დღევანდელ დღეს დავიწყებული ნათელი, რომელიც წარსულში დავტოვეთ გვიბრუნდება და სიხარულით გვავსებს. დღეს ამდენი ხნის მდუმარების შემდეგ პირველი წირვა აღესრულა. ამ მშენებლობის ნგრევის დანაშაული ჩვენს წინაპრებსაც მოვხსენით და შთამომავლობას თავისუფლება მივეცით, რადგან ტაძრის დანგრევა დიდი ცოდვაა და ამ ტაძრის აშენებით მოხდა ცოდვის მოხსნა“.



მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა ილარიონმა კი ახე მიმართა მასპინძლებს: „ნათქვამია: „ხსენება მართლისა ქებით აღესრულების.“ მართალნი ტაძარში განმართლდებიან. სიმართლე და ჭეშმარიტება ეკლესიაშია. მადლი ტაძარში მოიპოვება. შემთხვევით არაფერი ხდება. გიორგობა გვიახლოვდება და თქვენ საშუალება გეძლევათ ეს დღესასწაული აღნიშნოთ ამ წმიდანის სახელობის ტაძარში“.

ამ დღეს ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ეწოდოს „დღე დიდებული და მშვენიერი“. ამ დიდებულებას და მშვენიერებას კი დასასრული არ ექნება, გვჯერა ყოველი დღე დახუნძლული იქნება ღვთის საიდუმლოთა აღსრულებითა და ლოცვით. ეს გახლდათ ის სანუკვარი ოცნება, რომელზედაც წერილის დასაწყისში საუბრობდა ერთ-ერთი ინიციატორი ტაძრის მშენებლობისა.

„შეიმოსა უფალმან ძალი და გარე შეირტყა“––ღმერთმა ხორციელი და სულიერი სიძლიერე მისცეთ „ამა ტაძრის აღმშენებელთ“, თითოეულ ზუბელს...

ბოლოს კი, „ჩემი სულის საიდუმლო ზუბთან გადახლართულა“––ამბობს ვალერიან ბენიძე ერთ-ერთ ლექსში და მართლაც, მშობლიურ მხარესთან შესისხლხორცება, გადახლართვა გახლავთ ამ დღის შედეგი და დიდებულება.

ეკატერინე ბენიძელიანი

ჩვენი ძმიმე წარსული

(დასაწყისი
იხ. „ახალი ლეჩხუმი“ №4)

იმ ცოდვიან ღამეს

––ის ღამე, თავს რომ დაგვესხნენ, გუშინდელი დღესავით მახსოვს––იგონებს ბატონი გელა.

––შუაღამეზე, მეორე სართულზე ვიღაცეები შემოსულან. კარებზე ბრახუნი ატეხეს. მამაჩემმა დაიძახა––ვინა ხართ, კაცო კარებს რომ მიმტვრევოთ. ბავშვებს ხმაურზე გაგვეღვიძა და შეშინებულები მშობლების ოთახში გამოვცვივდით.

––კარი გააღეთ!––გაისმა რუსულად ბოხი ხმა. მამა იმწამსვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და დედას წაულაპარაკა: ––ჩემს ნასაყვანად მოვიდნენ, არ შეგეშინდესო. შუქი აანთო. კარებთან მივიდა ამასობაში რუსმა კარები ძალით გააღო. ოთახში სამი რუსი და ორი ჩვენებური შემოვიდა (ჩვენებურების სახელები ვერ გაიხსენა პირობითად ვანო და გიორგი დავარქვათ). ჩვენ გაოგნებული და შეშინებულები ვუყურებდით შუალამეზე ოჯახში შემოჭრილ დაუპატიჟებელ სტუმრებს. ვანომ მამას უთხრა––კოლია, ბრძანებაა შენი ოჯახი უნდა გაჩხრიკონ ამ რუსებმა. დედა აქვითინდა, ბავშვები შიშისაგან ვცახცახებდით. ხმაური მეზობლებს გაუგიათ. ეზოში შემოცვივდნენ. ორმა სამხედრომ ჩხრეკა დაიწყო, რაც სახლში ლოგინები, კარადები, სათავსოები იყო, ყველაფერი საგულდაგულოდ გაჩხრიკეს. ერთი ჭრაქით სხვენზე ავიდა, გულდასმით დაათვალიერეს ბეღელი, სასაქონლე, მარანი, თონე, რას ეძებდნენ ჩვენთვის არ უთქვამთ. ჩხრეკას რომ მორჩნენ მამას უთხრეს: „მოსკოვიდან ბრძანებაა მოსული შენი საქართველოდან გასახლების შესახებ და ახლავე უნდა მოემზადოო“. მამას ენა ჩაუვარდა, დედამ ისტერიული კივილი ატეხა––„ჩემს ქმარს სიკვდილის მეტი ვერაფრი დამაშორებს, სადაც მას წაიყვანთ მე და ჩემი შვილები იქ წავალთო“.

––„სამწუხაროდ, შენ და შენი ქმარ-შვილი ყველანი უნდა გადაგასახლოთო“––„ანუგეშა“ კომუნისტმა გიორგიმ.

დედა სწრაფად გონს მოეგო, შეწყვიტა ტირილი, თითქოს მაშინვე შეეგუა თავს დატეხილ უბედურებას. მამა მაგარი კაცი იყო. დედას დაუწყო დამშვიდება––„ნუ გეშინია, ერთად ვიქნებით. ჩემს ცოლ-შვილს არაფერს გაგიჭერვებთ. ახლა სიყოჩაღე გვმართებსო“. აივანზე ეზოში მდგარ ქალს გადმოსძახა:––„მეზობლებო, აბა თქვენ იცით, სამ საათში უნდა გამამზითვოთო“ და შიგნით შებრუნდა.

შეშფოთებული მეზობლები დაფაცურდნენ. კაცებმა ორი ბურვაკი დაკლეს, დაამარილეს, ქათმები ქალებმა გაპუტეს. სიმინდის მარცვალი, ფქვილი, ნიგოზი, თაფლი, ყველაფერი, რაც ნასაღები იყო ყუთებში და ტომრებში მოათავსეს. ქვეშაგებ-ლეიბები, საბნები, ბალიშები, თეთრეული ერთად გამოაკრეს. ბევრმა სახლიდან მოგვიტანა თავისი დანაზოგი. ბავშვებს ფულიც გვაჩუქეს.

ძნელი იყო ოჯახის დატოვება, კუთხე-მეზობლებთან დაშორება, რაც იმ წუთებში ჩვენს მეზობლებში ხდებოდა ამის აღწერა მე არ შემიძლია. მახსოვს მამის სიტყვები სახლიდან რომ გამოდიოდა:––„მშვიდობით, ჩემო კეთილო მეზობლებო, ერთი რამ გწამდეთ, არა ვარ სამშობლოს მოღალატე. გული იმაზე მიწუხს, რომ ოჯახის უბედურების მიზეზი გავხდი. ტყვეობაში მომკვდარიყავი ჯობდა, თუ ეს ბედი მელოდა“..

ჭიშკართან სატვირთო მანქანა იდგა. ჩვენ ძარაზე მოვთავსდით, მანქანამ გეზი ცაგერისაკენ აიღო. გულდათუთქულებმა დავტოვეთ საყვარელი სოფელი, საყვარელი ადამიანები.

საიდუმლოთ თათბირზე უშიშროების უფროსმა 15 გადასახლებულთა შორის სოფელ გვესოში მცხოვრები კვაჩუნა ბერიძე ამოიკითხა. მილიციის უფრომა შალიკო ლაიშვილი უხერხულად შეიშმუშნა, მაგრამ სხვის დასანახად არაფერი შეიმჩნია. თათბირის დასასრულს პირველ მდივანს უთხრა: „გვესოში კვაჩუნა ბერიძე ოჯახში მე წავალ. პარიმონ ყურაშვილს წავიყვან. სულ არ არის საჭირო რუსების იქ გაგზავნაო“, თან არც ის დაუმალა, რომ კვაჩუნასთან მას ახლო დამოკიდებულება ჰქონდა.

დილის 3 საათზე ლაიშვილი და პარიმონ ყურაშვილი ცაგერიდან გავიდნენ. დათქმულ დროს კვაჩუნას სახლის კარზე დააკაკუნეს.

––„კვაჩუნა, კარი გააღე, შალიკო ვარ ლაიშვილი“. კვაჩუნამ მეუღლეს გადაულაპარაკა––„ადექი, ლაიშვილი მოვიდა, რაღაც ცუდი ამბავია ჩვენს თავზეო“. ორივემ საჩქაროდ ჩაიცვა. კვაჩუნამ კარი გააღო.

––„ამ შუაღამეში რამ მოგიყვანა შალიკო?“

––„კარგ საქმეზე არა ვართ მოსული. ოთახში შეგვიძეხი“.შეშფოთებულმა მეუღლემ სანათი აანთო, ღუმელში ცეცხლის დანთება განიზრახა.

––„თავი დაანებე ღუმელს, მაგისი დრო არ არის! მომისმინეთ, ცუდი ამბავი უნდა გითხრათ! მოსკოვიდან მივიღეთ ბრძანება ტყვედ ნამყოფი ხალხის საქართველოდან გადასახლებაზე. შენც გადასახლებულთა სიაში ხარ“.

ამის გაგონებაზე კვაჩუნამ მწარედ ამოიგმინა. მეუღლემ შეიცხადა––კივილი მორთო––„ცოცხალი მე ჩემს ქმარს არ დავრჩები“.

––„მთელი ოჯახი ხართ გადასახლებული. ამას აღარაფერი ეშველება, ახლავე უნდა მოემზადოთ სიჩქარეა საჭირო“––უთხრა ლაიშვილმა.

ბატონი კუკური იგონებს: ––„მშობლების ხმაურზე მე და ჩემი ძმა, გურამი მათ ოთახში შევცვივდით. მამა დამუნჯებული იდგა და იატაკს დასცქეროდა. დედა მოთქვამდა. ბავშვებსაც ტირილი წაგვსკდა.

ლაიშვილი აივანზე გავიდა. ეზოში შემოსულ კარის მეზობელს გასძახა:

––ნესტორ, ახლავე გააღვიძე მეზობლები, კვაჩუნა ოჯახით არის გადასახლებული და უნდა მოვეხმაროთ მომზადებაში“. რამდენიმე წუთში მთელი სოფელი შეიყარა. შალიკომ მათ გააცნო მდგომარეობა. ყველა შეწუხდა. კვაჩუნას შეძლებული ოჯახი ჰქონდა, მაგრამ მეზობლებმა ოჯახებიდან მაინც მოიტანეს შაშხი, ფქვილი, ნიგოზი, ლობიო, ვისაც რა გააჩნდა.

––„ორი ღორი მყავდა დასაკლავად გამზადებული. არ დამაცალეს ამ უღმერთოებმა ახალწელს ჩემს სახლში შევხვედროდი“––წაულაპარაკა კვაჩუნამ ლაიშვილს..

––„არ იჯავრო. ახლავე დავაკვლევინებ ორთავეს. გაგატან და სადაც მიგიყვანენ იქ დალოცე ახალი წელი––დააიმედა ლაიშვილმა.

4 დიდი მარხილი გაივსო პროდუქტით და სხვა წასაღები ნივთებით.

მწარე იყო განშორების წუთები––გაფითრებული კვაჩუნა მეზობლებს მიუბრუნდა: „მე სასჯელი ალბათ იმიტომ დავიმსახურე, რომ მტერს ცოცხალი დავნებდი. იქნებ ოდესმე მაინც გაიგონ ჩემი სიმართლე. რად გამხადეს ჩემი ცოლ-შვილის უბედურების მიზეზად? სად არის, ხალხო სამართალი? მშვიდობით!“

ზუსტად 9 საათზე ლაიშვილმა ოჯახი

გაგრძელება მე-5 გვ.

იმ ცოდვიან ღამეს

(დასასრული)

ცაგერში ჩამოიყვანა და მაშინვე თავისი ავლა-დიდებით სატვირთო მანქანის ძარაზე მოათავსა.

განწირულთა სიაში აღმოჩნდა აბესალომ ტყეშელაშვილი. იგი არამარტო დიდებული ქირურგი, კაცთმოყვარე, მშრომელი ადამაინი იყო. ცაგერში ალალი შრომით დაუსახლებელ, უნაყოფო ადგილას შესანიშნავი სახლი ააგო და ეზო წალკოტად აქცია.

„ახალმოსახლეობა უნდა გადავიხადოო", მაგრამ არ დააცალეს. დეკემბრის იმ ავადსახსენებელ დღეს მისი სახლის აივანზე რუსები შეცვივდნენ, მძინარე ოჯახს კარები ძალით შეუღეს, თითქოს კაცის მკვლელის შესაპყრობად მოსულიყნენ. ბატონი იოსებ რატიანი იგონებს: „აბესალომის ოჯახს რუსები სასტიკად მოექცნენ. მე მეზობლად ვცხოვრობდი. ხმაური რომ გავიგონე, სახლიდან გავედი ამბის შესატყობად. აბესალომის სახლთან ხალხი იდგა. მითხრეს––ექიმს ოჯახიანად ასახლებენო. რამდენიმე რუსი სამხედრო ეზოში არავის უშვებდა. მე მფრინავის ფორმაში ვიყავი, ჯიქური მივედი ერთთან და გატარება ვთხოვე. მან ავტომატი მომიშვირა და მომაძახა: „стой а то стрелять буду!" ამასობაში აბესალომიც გამოიყვანეს ცოლ-შვილით ოჯახიდან. იქვე სატვირთო მანქანაზე დასვეს მხოლოდ ორიოდე ჩემოდანი და ქვეშაგები გამოატანეს. შემდეგ გავიგე, რომ კვაჩუნა ბერიძესთან ერთად უმგზავრია მატერბლით. „კვაჩუნამ გადამირჩინა ოჯახი შიმშილისაგან" იტყოდა შემდეგ ბატონი აბესალომი.

გზაში კატორღისაკენ

დილის 9 საათზე მანაქნების კოლონა მზად იყო გასამგზავრებლად. თითოეული მანქანის ღია ძარაზე 4 ოჯახი მოთავსდა. მანქანის კაბინაში მძღოლის გვერდით რუსი ოფიცერი იჯდა. მაღლა ძარაზე რაიკომის წარმომადგენელი და ორი რუსი.

ყინავდა. გაუბედურებული, ტირილისაგან თვალებდაწითლებული ბავშვები და უფროსები საცოდავად იყვნენ მობუზული სიცივისაგან. ზოგს პალტოს მაგიერ საბნები მოეხურა. ბოლმისაგან გამშრალი მამაკაცები დამუნჯებულნი ისხდნენ, ქალები მწარედ ტიროდნენ. მანქანების ირგვლივ მდგარი ახლობელი, ნათესავები, ცაგერლები თვალცრემლიანი შესცქეროდნენ იმ საცოდავებს. 10 საათზე მანქანების კოლონა ნელა დაიძრა. ხალხი უკან მიჰყვებოდა, ხელებს უქნევდნენ, ემშვიდობებოდნენ. მანქანები თვალს მოეფარნენ.

ქუჩაში დარჩენილი ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დიდხანს იდგნენ, ყველა გაოგნებული იყო.

ცაგერიდან გასული მანქანების კოლონა ტვიშის მეორე კოლონას შეუერთდა.

„ტვიშში რომ ჩავედით, გალურჯებული ვიყავი სიცივისაგან, მეორე დღე იყო არაფერი მეჭამა. მანქანიდან ჩამოვედი იქნება რაიმე საჭმელი ვიშოვოთქო და ძახილი მომესმა––„დათო მიშველე, ბავშვი მიკვდება. აკვნის გარეშე არ იძინებს, გამიტყდა და იქნებ შემაკეთებინოო. ჩემი ბიძაშვილი მიჰყავდათ რვა თვის ბავშვით. მისი ცოდვით გული ამიდუღდა"––იგონებს დავითი.

ბატონი გელა იგონებს: „ჩვენი მანქანა ერთ-ერთ ვაგონთან შეაჩერეს. რკინის კარები ჟღარუნით გაიღო. საქონლის ნეხვისა და შარდის მყრალი სუნი გვეცა. ერთი საათი დასჭირდნენ ამ სიბინძურისაგან იატაკის გაწმენდას. დავიწყეთ ტვირთის გადატანა ვაგონში. უცებ ნაცნობი ხმა მოგვესმა: „დედა, მამა, რა ამბავია, სად მიდიხართ?" აქოშინებული ჩემი უფროსი ძმა გიგა ხან დედას ეხვეოდა, ხან მამას. მერე მე ჩამიკრა გულში. იგი თბილისიდან იყო ჩამოსული ბიძასთან და ქუთაისში გაუგია ჩვენი უბედურების ამბავი. ისიც ჩვენთან ერთად წამოვიდა.

თითო ვაგონში ოთხი ოჯახი მოათავსეს. კუთხეებში სამსართულიანი ნარები იყო სახელდახელოდ გაკეთებული.

ლოგინები გავშალეთ. სიცივისაგან მთლად გალურჯებულები საწოლში გავეხვიეთ, რაც გაგვაჩნდა ყველაფერი დავიხურეთ. ვაგონს ერთადერთი ,პატარა სარკმელი ჰქონდა, საიდანაც ცივი ჰაერი შემოდიოდა. მატარებელი საათობით გაუჩერებლად მიდიოდა. საშინელება ის იყო, რომ ვაგონში ტუალეტი არ იყო. მამამ გამოსავალი ნახა. იატაკზე ნაჯახით ნახვრეტი გააკეთა. ქალებმა სამი მხრიდან ზეწრები ჩამოაფარეს. დღეში ერთხელ მატარებელი ჩერდებოდა. ბალანდას გვაძლევდნენ. ეს იყო ყოვლად უხარისხო საჭმადი, რომელსაც ვერ ვჭამდით და უკან ვუბრუნებდით. აუტანელი პირობების გამო გზაში ბევრი გარდაიცვალა და შუა აზიის სტეპებში დაასაფლავეს ახლობლებმა.

მე-14 დღეს ეშელონი სამხრეთ ყაზახეთის, ილიჩოვსკის რაიონში შეჩერდა. ერთი ჯგუფი პერვომაისკის ხუტორში მიიყვანეს, აქ მათთვის ფინური ბინები იყო გათავისუფლებული.

ბატონი კუკური იგონებს: „ჩვენს ოჯახს დიდი ოთახი გამოუყვეს, ჩვენთან შემოასახლეს აბესალომ ტყეშელაშვილის ოჯახი და ერთი რაჭველი ქვრივი ქალი ეფროსინე დავლიანიძე. იგი გადაასახლეს იმის გამო, რომ ომის დამთავრების შემდეგ მის შვილს უარი უთქვამს საქართველოში დაბრუნებაზე".

დრომ თავის მოიტანა. ადამიანები არ დაეცნენ სულიერად თვალუწვდენელ სივრცეებზე ბამბის უზარმაზარი პლანტაციები, ვენახები, ბაღჩები და ბოსტნები იყო გადაჭიმული. ყველა მუშაობდა. საჭმელ-სასმელი არ აკლდათ, მაგრამ აკლდათ თავისუფლება, მშობლიური კუთხე მისი განუმეორებელი სილამაზე.

„გამოდიხარ ბინიდან ვერსად მთებს ვერ დაინახავ, თუნდაც პატარა ბორცვს. ყოველი მხრიდან მოსჩანდა სარწყავი არხებით დასერილი პლანტაციები, ბოსტნები, ერთწლიანი ნათესები"––იხსენებს კუკური.

ერთმანეთის მხარდამხარ მუშაობდნენ ქართველები, ჩრდილოკავკასიელები, ბოლნისელი გერმანელები. მუშაობდნენ უხვი პროდუქციის მისაღებად, რომ სახელმწიფოსთვის ეპატაკებინათ სტალინური ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულება.

საბედნიეროდ, ეს ტანჯვა დიდხანს არ გაგრძელებულა 1953 წლის მეორე ნახევარში ნიკიტა ხრუშჩოვმა შური იძია სტალინზე. ასიათასობით რეპრესირებული ადამიანი კატორღებიდან სამშობლოში დაბრუნდა. ლეჩხუმლებიც დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს.

შალვა ცვარიანი

„მდიდართ ოქრო აქვს, ჩვენ კი თვითონ ვართ ოქრობიჭები"



გათენდა ჩვეული გათენებით

ცაგერის საშუალო სკოლაში განსაკუთრებული სამზადისი, უჩვეულო ქრიამულია. „ოქრო ბიჭები" ფუსფუსებენ, ემზადებიან, ღელავენ... მასწავლებლები, მშობლები, თანატოლები კი გზას ულოცავენ. მურის ძველ ხიდთან ღირსი მამა მაქსიმე ალმსარებლის ტაძარში ყოვლადუსამღვდელოესმა მეუფე სტეფანემ დალოცა მოგზაურები და წარმატებები უსურვა.

რამდენიმე წუთში გულშემატკივრებით, მასწავლებლებით, მშობლებით დატვირთული მანქანა მანქანას მისდევდა...

საოცარია ყვავილებში ჩაფლული, დამათრობელი სურნელით გარემოცული რაჭა. ირგვლივ ყველაფერი ისე ლამაზია, თითქოს უჩინმაჩინის ქუდით იყო შემოსილი და ადამიანთა მოულოდნელი აღფრთოვანება ჰქონდა გაზრახულიო.

წუთი წუთს მისდევს, მღელვარებამ იმატა. ამბროლაურის კინო-თეატრი გულშემატკივრებს, მაყურებელს ვერ იტევს. შეჯიბრება დაიწყო... ერთმანეთს გამარჯვებაში ეცილებინა: ლენტეხის რაიონის სოფ. რცხმელურის „ხე, ხე, ხე", ცაგერის ა.ვ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის „ოქრო ბიჭები", ონის რაიონის „შერეკილები" და ამბროლაურის II საშუაოლ სკოლის „უსაქმურთა" გუნდები.

ჟიურის თავჯმდომარე გახლდათ განათლების სამხარეო განყოფილების გამგე: იური კობახიძე, ჟიურის წევრები: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ლოტბარი შალვა ჯაფარიძე, ცაგერის სამუსიკო სკოლის დირექტორის მოადგილე ნარგიზა ალავიძე, ლენტეხის საკრებულოს თავმჯდომარე, ქორეოგრაფი შურმან ბენდელიანი, ამბროლაურის კულტურის სახლის დირექტორი როსტომ გოგოლაძე.

გუნდებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ შემდეგ ხუთ ნომინაციაში; გუნდის წარდგენა, სახელწოდება, ემბლემა, დევიზი, იუმორისტული, მუსიკალური ნომრები, „ლეკვი ლომისა სწორია" და თანამედროვეობა, ჟიურიმ მკაცრად განსაზღვრა რეგლამენტი არა უმეტეს 8-10 წუთისა.

შესრულების დიდი მონდომებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს გუნდები. იშვიათი სანახაობა გაიმართა. გულშემატკივრები ემოციებს ვერ ვფარავდით. ყოველი მხრიდან გაისმოდა შეძახილები.

შესცქერი „პატარა ხელოვანთა" მიერ წარმოდგენილ სცენებს გული სიამაყით გევსება, თვალნათლივ ხედავ, რომ ქართველთა ნიჭიერება ჩარჩოებს, საზღვრებს ვერ იტევს. გამარჯვება კი ერთს ეკუთვნის. იმ ერთს, სადაც საუკეთესო ზენიტშია... ეს დამსახურება კი ცაგერის ა.ვ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის გუნდს „ოქრო ბიჭებს" ხვდა წილად.

როგორი სიტყვები წარმოვთქვა, როგორი სიტყვები წარმოვათქმევინო ჩემთა ბაგეთა, რომ სულში და გულში ჩაგწვდეთ... თავში ერთი ძლიერ გაცვეთილი ფრაზა ამეკვიატა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა ნამდვილად არ დაუკარგავს: „ჩემი სკოლა ჩემი სიამაყეა".

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორმა ბატონმა დავით დახარველიძემ გულთბილად, გულწრფელად მიულოცა ეს წარმატება „ოქრო ბიჭებს" და აღნიშნა, რომ „ამ ბიჭების მიერ წარმოდგენილი ნომრები ძალზე მაღალი დონისაა. ამ პროგრამით ისინი პირველ ადგილას დაიმსახურებდნენ არა მარტო ამ სამხარეო, არამედ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. დანარჩენი გუნდებიც იშვიათი ხელოვნურობით წარდგნენ. დღევანდელი დღე მართლაც სიხარულით, სიყვარულითა და ოვაციებითაა სავსე. გილოცავთ ამ დიდ სიხარულს".

ნათქვამია, „ტკბილ ლუკმას ბოლოსთვის იტოვებენო"... ამ ნიჭიერების აღმომჩენი, დამნახავნი, შემფასებელნი გუნდის ხელმძღვანელ-მასწავლებლები არიან: რუსულან ყურაშვილი, დავით ცვარიანა და ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი ნუნუ ჩაკვეტაძე, რომლებიც შინაგანად დაძაბულნი, ოვაციების გარეშე ჩვეულ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ. „ოქრო ბიჭებმა" კი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ფრიადი დაიმსახურეს... ეფექტური შედეგი კი ყველაფერზე მეტყველებს... თქვენ გულში გიკრავთ გამარჯვებული ცაგერი და იმეორებს პოეტის სიტყვებს: „ნიჭი, ძამიკო ნიჭი, გალაკტიონმა ბრძანა".

ეკატერინე ბენდელიანი

ჩვენ გვწერენ

წყალსაცავის სათაო ნაგებობის ტერიტორიაზე, იქ სადაც სოფლების ელექტროგამანაწილებლების კარადებია განთავსებული, წლების წინათ (მაშინ ჯერ კიდევ ბატონი კარლო კვირიკაშვილი იყო გამგებელი), აშენდა ერთი კოპწია ნაგებობა, სადაც როგორც მაშინ ამბობდნენ, ელექტრომონტიორები უნდა გადასულიყვნენ სამორიგეოდ ქალაქის ცენტრიდან. ეს ყველას ძალიან გაგვიხარდა, რადგან სწორედ რომ ასეა უპრიანი. ვიფიქრეთ, შემდეგში როცა შუქი ჩაქრება, ჩვენს ელექტრომონტიორებს აღარ დაეზარებათ ქალაქის ცენტრიდან „პლატინის ხიდზე" ამოსვლა და შუქიც დროზე ჩაირთვებათქო, მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა ჩვენი სიხარული, შენობა გადაიხურა, ფასადიც შეიქმნა და ყველას მიავიწყდა, ოღონდ სწორედ მაშინ გაგვახსენდება, როცა შუქი ჩაქრება და გულებში ვითვლით––რა მანძილი სჭირდება ჩვენს მორიგე მონტიორს ქალაქის ცენტრიდან ქალაქის განაპირამდე?

იფიქრეთ ვინმემ ამაზე.

მოდით, იმაზეც ვიფიქროთ, იგივე ხიდზე უზარმაზარი პირღია ორმო რომ დარჩენილა პიტერ შოუს სამალავივით.

ჩხუტელის მოსახლეობის ერთი ნაწილი

ჩატარდა სანიტარული დასუფთავების ორთვიური

ცაგერის რაიონის გამგეობის დადგენილებით 1 აპრილიდან 30 მარისამდე ჩატარდა ქალაქ ცაგერისა და სოფლის დასახლებული ტერიტორიების სანიტარული დასუფთავების ორთვიური.

გარკვეული საქმიანობა წარიმართა ორთვიურის განმავლობაში. დასუფთავდა ქალაქის ქუჩები, სოფლების ცენტრები, საქმიანი ეზოები, მოეწყო ნაგავსაყრელები, სხვა სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

სპორტი, სპორტი

ქალაქის საჭიბულოს ინიციატივით

ჩატარდა ვაჟთა გუნდებს შორის რაიონული ტურნირი ფრენბურთში, რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოთხი გუნდი. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ ლასურიაშის (ხელმძღვანელი კობა მუშკუდიანი) და სპორტული სკოლის (მწვრთნელი თენგიზ საღინაძე) გუნდები.

დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა ლასურიაშის გამოცდილმა გუნდმა. უნდა აღინიშნოს სპორტული სკოლის მოზარდი ფრენბურთელების კარგი თამაში. მოგეხსენებათ ეს გუნდი მხარის სახელით მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის მოსწავლეთა სპორტულ თამაშებში, სადაც წარმატების გარკვეული შანსები გააჩნია.

გამარჯვებულ და მეორე ადგილზე გამოსულ გუნდებს გადაეცათ ქალაქის საკრებულოს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

გვასახელეს მოჭიდავეებმა

თბილისში ჩატარებულ თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის ლევან თედიაშვილის სახელობის ტურნირში წარმატებით გამოვიდა რაიონის მოჭიდავეთა გუნდი (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ალუდა სილაგაძე)

მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს ორბელელმა ზვიად ბურჯალიანმა და ლაჯანელმა კოტე ჯანაძემ.

სამწუხაროდ, ტურნირის ჩემპიონის ორბელელი თორნიკე ბურჯალიანის შედეგი დაეწერა ქ. ქუთაისს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენი გუნდის რიგებში ირიცხებოდა, რადგან დღეისათვის სწავლობს ქუთაისის სპორტულ სკოლა–ინტერნატში შეცდომით იქნა გატარებული შეჯიბრების დოკუმენტაციაში ქ. ქუთაისის სახელზე. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირების შემდეგ გარკვეულია, რომ ისინი მადლობას გვიხდიან კარგი მუშაობისათვის და შედეგსაც გვითვლიან ჩვენ.

ფეხბურთი

„ხვამლის" მორიგი გამარჯვება

ჭაბუკთა გუნდებს შორის მ. მესხის თასზე ზონალური პირველობის მორიგ კალენდარულ შეხვედრაში ადგილობრივმა „ხვამლმა" უმასპინძლა ჭიათურის „მაღაროელს".

თამაში დაძაბული და საინტერესო გამოდგა. „ხვამლი" პირველი წუთებიდანვე ყოველგვარი დაზღვევის გარეშე შეტევაზე გადავიდა, რასაც სტუმართა სახიფათო კონტრთამაში მოჰყვა. სტადიონზე მოსულმა მრავალრიცხოვანმა გულშემატკივარმა გააზრებული, კომბინაციური ფეხბურთი იხილა.

მიმდინარეობდა თამაშის 34-ე წუთი, როცა სტუმართა კართან დაინიშნა კუთხური. ნოდარ ხეცურიანის ოსტატურად ჩამოწოდებული ბურთი გიორგი სილაგაძემ ლამაზი თავური დარტყმით „მაღაროელის" კარის ცხრიანში გაგზავნა 1:0 „ხვამლის" სასარგებლოდ. ასე დამთავრდა შეხვედრის პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმში „მაღაროელი" გააქტიურდა. სტუმრებმა თავი დაგვამახსოვრეს მახვილგონივრული შორეული გუსტი გადაცემებით, რაც მათ შეტევებს გაცილებით ეფექტურსა და სახიფათოს ჰქმნიდა. ერთ მომენტში „ხვამლის" კარი ძელმა იხსნა.

დროული აღმოჩნდა მასპინძელთა მწვრთნელის გადაწყვეტილება მოედანზე ახალი ძალები გამოეყვანა. „ხვამლის" თითოეული წევრი თავგანწირვით იბრძოდა, რამაც შედეგი გამოიღო, „მაღაროელის" შეტევები თანდათან განელდა, პირიქით, მასპინძლებმა იმძლავრეს და რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს. საბოლოოდ ანგარიში 1:0 ლოგიკურად ასახავდა ძალთა თანაფარდობას ამ შეხვედრაში.

„ხვამლმა" ეს მაგჩი ასეთი შემადგენლობით ჩააგარა: გიორგი კვირიკაშვილი, გიორგი სილაგაძე, ჭაბუკა ბურჯალიანი, ვასო ნემსიწვერიძე, ნოდარ ხეცურიანი, დათო კვირიკაშვილი, ლევან ხეცურიანი, გიორგი ახვლედიანი, ქაჯანა მუშკუდიანი, თემურ ახვლედიანი, გიორგი ბახსოლიანი, ვეგო ყურაშვილი, დათო თოთაძე.

კარგი თამაშისათვის ორივე გუნდს გამარჯვების დღესთან დაკავშირებით გადაეცა სპორტკომიტეტის მიერ დაწესებული სამახსოვრო პრიზები. მოწინააღმდეგე გუნდების წარმომადგენლებმა ასეთი კომენტარი გაუკეთეს ჩაგარებულ შეხვედრას:

ამირან სვეასტოპულო—ყოფილი თბილისის „დინამოელი" ჭიათურის სპორტსკოლის დირექტორი: „ამდენი მაყურებელი ბავშვთა გუნდების თამაშზე იშვიათად მინახავს. დაძაბული, ლამაზი პაექრობა იყო. მეორე ტაიმში „მაღაროელი" ახლოს იყო მიზანთან აღედგინა წონასწორობა თუმცა უშედეგოდ. ნიჭიერი, პერსპექტიული ბიჭები გყავთ. უღრმესი მადლობა ყურადღებისა და სტუმართომყვარეობისათვის."

პორფილე კოპალიანი—„ხვამლის" უფროსი მწვრთნელი: „მაღაროელი" ძალიან ძლიერი გუნდია, მასთან გამარჯვება ორმაგად პრესტიჟულია და სასიხარულო. მადლობა რაიონის ფეხბურთის გულშემატკივრებს მხარდაჭერისათვის. ვეცდებით მომავალშიც გავამართლოთ მათი იმედები."

შედეგი სახეზეა. ამ გამარჯვებით ჩვენმა გუნდმა საბოლოო მონაცემების მიხედვით დაიმკვიდრა ადგილი საუკეთესო ოთხეულში, რაც მომავალ სეზონში გვაძლევს უფლებას მონაწილეობა მივიღოთ უფრო მაღალი რანგის ტურნირში **გივი ჩოხელის** თასის გათამაშებაში.

დიდი მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ყურადღებისა და თანადგომისათვის.

გოგი კვირიკაშვილი,
რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

✝ ხსოვნა ✝

ნანი მუშკუდიანი

ვისაც ერთხელ მაინც შემოუხედავს იმ დროს კომკავშირის რაიკომში, ყველას ახსოვხარ შენი სათნო, ლამაზი, მშვიდი ღიმილითა და მოხდენილი გარეგნობით. რა მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალების შეგრძნება. ვერ გავითავისეთ, ვერ ვიჯერებთ. გვეცოდება ჩვენთვის უცნობი შენი სამი სიხარული, სამი შვილი დასაობლებლად, გვეცოდება შენი მეუღლე ცალუღელად დარჩენილი და შენი ტრაგიკული სიკვდილით განადგურებული. შენს მკვლელს კი მეტი რაღა სასჯელი სჭირდება, მან ხომ ყველაზე დიდი ცოდვა უნდა ატაროს.

ისევ ძველებურად გვიყვარხარ ჩვენო კეთილო და სიკეთის მთესავო. ახლოდან ვერ დაგიტირეთ, მაგრამ გვერწმუნე არასოდეს დაგვავიწყდები. შენთვის, შენი ლამაზი სულისთვის ვილოცებთ.

შენი ყოფილი თანამშრომლები
„კომკავშირის რაიკომიდან"

გურამ ჩარკვიანი

ამბობენ, როცა დაკარგავ კარგს, მის ფასს მერე გაიგებო: ასეა—ჩვენს შემთხვევაშიც–დავკარგეთ საუკეთესო პიროვნება, გამორჩეული სპეციალისტი, მისაბაძი კაცი—**გურამ ჩარკვიანი.**

მეურნეობა ხომ მისი ხედვით, მისი პროფესიონალიზმით უყურებდა საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც კოლექტივში წარმოიშობოდა. მისი სახით გურამ ჩარკვიანი მარტო მეურნეობამ კი არ დაკარგა, დაკარგა რაიონმა, სამეგობრომ, ყველამ.

გურამ! შენ ხომ კაცურ კაცად იყავი დაბადებული, ყველას უდექი მხარში შენი ჭკვიანური და სასარგებლო რჩევებით. ხშირად წამოიჭრება ხოლმე ჩვენთან პრობლემები, ყველა დავფირდებით და ვიტყვით ნეტავ, გურამი რას იტყოდაო? ასეთი იყავით ჩვენო გურამ! უშენობა მეურნეობაში თანამშრომლებს კი არა, თითქოს უსულო საგნებსაც აკლია.

ორი წელი გავიდა უშენოდ. თითქოს გუშინ იყო: შენი ომახიანი ხმა თითქოს ისევ გვესმის კაბინეტიდან. შენ მუდამ ცოცხალი იქნები მეურნეობის თანამშრომლების გულში. ჯერაც არ გაგვითვითცნობიერებია შენ რომ არა ხარ. სულ გელოდებით საყვარელ, სიმპატიურ და ავტორიტეტულ კოლეგას, როგორიც შენ იყავი.

ცაგერის სატყეო მეურნეობის
თანამშრომლები

იგრან ლიპარტელიანი

რა მძიმე და ტკივილით წარმოსათქმელია ეს სახელი, მით უფრო როცა სიცოცხლის და სიკეთისათვის გაჩენილ ადამიანზეა ლაპარაკი.

ჩემო უცნობო, მაგრამ საყვარელო ბიძია, ვკითხულობ იმდროინდელ გაზეთებს, რომლებიც შენს გარდაცვალებას, ავტობიოგრაფიას აშუქებდა. სვანეთში ხომ ყველა, ვისაც შენთან წუთიერი თუ კარგი ნაცნობობა ჰქონია, თბილად და ვაჟკაცურად გიხსენებს. თქვენთან სახლში ღვინო არ დაილევა ისე, რომ შენ არ მოგიგონონ, ძალიან ენატრები შენს მოხუც—დედ-მამას, შენს ერთადერთ დაიკოს და სამ ძმას. ძალიან უჭირთ უშენობა შენს შვილებს. შენი მეგობრები ხშირად მოდიან შენს საფლავზე და ხსოვნის ნათელ ჩირაღდანს გინთებენ.

ჩვენ, რაკი შენზე ამდენი კარგი გვესმის, ამიტომ გვიყვარხარ. შენი დისშვილები და ძმისშვილები არასოდეს დავივიწყებთ შენს სახელს და უშენოდ დაზრდილი შენი ობლების გვერდით ვიქნებით მარად.

დისშვილი მედეა გამფორია

გილოცავთ

ლია ნიკოლაიფგილს!

გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანის სიმრთელეს, კვლავაც სიხარულს გისურვებთ, წარმატებებს პირადად და სოფლის საკეთილდღეო საქმიანობაში.

ნარა ბერაძე, მზევინარ ძნელაძე ოჯახებით.

ილო გორეზიანი

ერთი წელი გავიდა იმ უბედურ დღიდან, რომელმაც უკვე შენი თავი წამართვა.

მშვიდი, ჭკვიანი, სულით ძლიერი იყავი, ჰოდა, უფალსაც ასეთი უნდოო. და შენც მისი ბოძებული ჯილდოს გამო, მისივე რჩეული აღმოჩნდა ძალზედ უდროოდ.

საოცრად მოსიყვარულე ბუნების მქონე, მუდამ მზად იყავი, სიკეთე დაგეთესა. ამიტომ შენს ოჯახს შენი ხანმოკლე ცხოვრებით დატოვებული კაცურკაცობა შვილის ისევ.

მოვიდა უშენოდ გაზაფხული, მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე 13 მაისი, რომელიც საფლავზე პირველად ცრემლებით მოგილოცეთ.

წახვედი და სიყვარულით სავსე ტკბილი მოგონებები დამიტოვე. მონატრების სურვილს შენს საფლავზე ცრემლებით ვიოხებ. როცა შენს საფლავს ჩავეხუტები მიწა ისეთი თბილია, მგონია, თითქოს შენს სითბოს ვგრძნობ, შენს გულზე დაყრილ მიწას ვეფერები, მგონია ჩემი სითბო და ალერსიც მოაღწევს შენამდე.

ნეტა, იმის ძალა მომცა, ჩემი თითებით შენს სხეულამდე მივაღწიო, რომ უფრო ახლოს მოგეფერო, მოგეალერსო, დაგამშვიდო და გაიმედო, რომ ჩვენს თიკოს და მარის ცხოვრებას შენებურად გაუკვლევ, არ ვაგრძნობინებ, რომ უშენოდ უძლური ვარ, სიცოცხლე არ მინდა, და ცხოვრებას აზრი არა აქვს. მხოლოდ შვილებზე, მათ მომავალზე ფიქრი წარმოშობს ზღვარს ჩვენს შორის. არადა როგორ მენატრები.

„ილო" უშენოდ სამყარო
დასრულდა,
და ჩემმა ცხოვრებამ დაკარგა აზრი.
მუდამ მეყვარები, ჩემო ტკივილო,
ვფიცავარ შენს ობლებს
„თიკოს და მარის".

მენატრები, უსაშველოდ მენატრები ჩემო აუხდენელო, ოცნებად ქცეულო და მაინც იმედო, ჩემო გაფნულო, გაწამებულო სიცოცხლევ ილო!

შენი მაკა

რედაქტორი თამარ დავითულიანი	პასუხისმგებელი მდივანი მზევინარ ძნელაძე	სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა გენდელიანი.	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47. ტელ: 22-86	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში" ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33 ტელ:7-07-80, 7-34-99